სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" სამეურვეო საბჭოს
გადაწყვეტილება № 526
(ოქმი № 457)

თბილისი 2022 წლის 2 მარტი

სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" 2021 წლის პერიოდის ფინანსური ანგარიშგების აუდიტის, საგადასახადო აუდიტის და განხორციელებული შესყიდვების მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობის აუდიტის (გარე აუდიტი) ჩატარების გამო საერთაშორისოდ აღიარებული დამოუკიდებელი აუდიტორული ფირმის დანიშვნასთან დაკავშირებით კონკურსის გამოცხადების შესახებ

"მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის 34-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად,

1. სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" 2021 წლის პერიოდის ფინანსური ანგარიშგების აუდიტის, საგადასახადო აუდიტის და განხორციელებული შესყიდვების მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობის აუდიტის (გარე აუდიტის) ჩატარების გამო საერთაშორისოდ აღიარებული დამოუკიდებელი აუდიტორული ფირმის დანიშვნასთან დაკავშირებით, გამოცხადდეს კონკურსი წინამდებარე გადაწყვეტილებაზე თანდართული განცხადების შესაბამისად.

2. განცხადება კონკურსის გამოცხადების შესახებ განთავსდეს სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" ვებ-გვერდზე.

დანართი: განცხადება კონკურსის გამოცხადების შესახებ (2 ფურცლად).

სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე:

ირინა ფუტკარაძე

სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე:

მიხეილ ჩიკვილაძე

სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" სამეურვეო საბჭოს წევრები:

ბესიკ ლილუაშვილი

ირაკლი პაპავა

იზაბელა ოსიპოვა

გრიგოლ მურღულია

ზაზა აბაშიძე

ბონდო მძინარაშვილი

გიორგი ნიჟარაძე

განცხადება

სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" 2021 წლის პერიოდის ფინანსური ანგარიშგების/კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის, საგადასახადო აუდიტის და განხორციელებული შესყიდვების მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობის აუდიტის (გარე აუდიტი) ჩატარებაზე კონკურსის გამოცხადების შესახებ

"მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის 34-ე მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად, სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" სამეურვეო საბჭო აცხადებს კონკურსს საერთაშორისოდ აღიარებული დამოუკიდებელი აუდიტორული ფირმის მიერ, რომელიც აკმაყოფილებს საქართველოს კანონს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ, სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" 2021 წლის პერიოდის ფინანსური ანგარიშგების/კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის, საგადასახადო აუდიტის და განხორციელებული შესყიდვების მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობის აუდიტის ჩატარებაზე. აუდიტორულ დასკვნასთან ერთად კომპანიამ უნდა წარმოადგინოს მოსაზრება საზოგადოებრივი მაუწყებლის 2021 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ.

აუდიტორული დასკვნა წარმოდგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე, 4 ეგზემპლარად (მათ შორის ელექტრონული ფორმით), **2022 წლის 20 აპრილამდე**, სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" ადმინისტრაციულ შენობაში (მის. ქ. თბილისი, კოსტავას ქ. №68).

მოთხოვნები

- აუდიტორული ფირმის მსხვილ კლიენტებთან მუშაობის არანაკლებ 5-წლიანი გამოცდილება, სასურველია ტელე-რადიო მაუწყებლობის სფეროში;
- აუდიტორული ფირმა უნდა აკმაყოფილებდეს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნებს;
- აუდიტორულმა ფირმამ აუდიტი უნდა ჩაატაროს აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებისა და საქართველოში მოქმედი წესების შესაბამისად;
- გარე აუდიტის სავარაუდო ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს 60 000 (სამოცი ათასი) ლარს, დღგ-ს ჩათვლით.

წინადადებების მიღების და შერჩევის პროცესი

წინადადებები წარმოადგენილი უნდა იქნეს **2022 წლის 11 მარტის 18.00 საათამდე**. წარმოდგენილ წინადადებაში მითითებული უნდა იყოს შესასრულებელი სამუშაოს სავარაუდო ღირებულება.

საკონკურსო განაცხადი წარმოდგენილი უნდა იქნეს სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" ადმინისტრაციულ შენობაში (მის. ქ. თბილისი, კოსტავას ქ. №68) დალუქულ კონვერტში. კონვერტზე აღნიშნული უნდა იყოს კომპანიის დასახელება, საკონტაქტო მონაცემები და კონკურსის დასახელება, რომელზეც შემოტანილია განაცხადი.

წარმოდგენილი კონვერტების გახსნას, წარმოდგენილი განაცხადების განხილვას, შეფასებას, კონკურსში მონაწილე კომპანიების წარმომადგენლებთან გასაუბრებას (ასეთის საჭიროების შემთხვევაში), გამარჯვებულის გამოვლენას და აუდიტორული კომპანიის დანიშვნას ახორციელებს საბჭო თავის სხდომაზე.

საკონკურსო წინადადებების განხილვა იწყება წარმოდგენილი კონვერტების გახსნით.
საკონკურსო წინადადებების განხილვისას საბჭო ითვალისწინებს:
ა) აუდიტორული ფირმის შეთავაზებულ წინადადებებს;
ბ) აუდიტორული ფირმის გამოცდილებას;
გ) მომსახურების საფასურს.

წარმოდგენილი კონვერტების გახსნის შემდეგ გამარჯვებულის გამოვლენამდე სამეურვეო საბჭო ან/და მისი თავმჯდომარე უფლებამოსილნი არიან გასაუბრებისთვის მოიწვიონ კონკურსში მონაწილე აუდიტორული ფირმის უფლებამოსილი წარმომადგენლები ინფორმაციის დაზუსტება/განმარტებისათვის.

წარმოდგენილი საკონკურსო განაცხადების (მათში შემავალი დოკუმენტების, ასევე მონაწილე აუდიტორული კომპანიების უფლებამოსილი წარმომადგენლების ზეპირი დაზუსტებების/განმარტებების) განხილვის საფუძველზე საბჭო გამარჯვებულად აცხადებს აუდიტორულ ფირმას და თავისი გადაწყვეტილებით ნიშნავს მას მაუწყებლის გარე აუდიტის განმახორციელებელ აუდიტორულ ფირმად.

წარმოდგენილი წინადადების საფუძველზე, სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" სამეურვეო საბჭო შეარჩევს და **2022 წლის 16 მარტამდე** გამოავლენს გამარჯვებულს.

საკონტაქტო ინფორმაცია

დამატებითი ინფორმაციის მისაღებად, გთხოვთ, დაუკავშირდეთ საკონტაქტო პირს:

- სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" სამეურვეო საბჭოს კონსულტანტს ფინანსურ საკითხებში გიორგი ნატროშვილს, მობ. ტელ. 577 777731.

ირინა ფუტკარაძე
სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის"
სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე